პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№69 (5099) 7 აპრილი, კვირა. 1974 წ. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

HELSINKI 5.-20.4.1974

# 8:0
# 5:0

წლევანდელი ასპარეზობის პირველი გოლი ჩემპიონატის პირველ წუთზე გაიტანა კოხტამ (ჩეხოსლოვაკია).

●

**ჰელსინკი, 5 აპრილი.** ფინეთის დედაქალაქის „იაამპლის" სპორტის სასახლის ყინულის სარბიელზე დღეს საზეიმოდ გაიხსნა მსოფლიოს და ევროპის ჰოკეისტთა ჩემპიონატი.

პირველად სარბიელზე გამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის ნაკრები გუნდები. ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და პირველ პერიოდში ოთხი შაიბა გაიტანეს. მომდევნო პერიოდებში მათ კიდევ ორ-ორჯერ აიღეს პოლონელთა კარი, თავიანთ კარში კი არც ერთი შაიბა არ გაუშვიათ. ამრიგად, შეხვედრის ანგარიშია 8:0.

შაიბები გაიტანეს: ნედომანსკიმ, ფარდამ (2-2), კოხტამ, მარტინეცმა, მახაჩმა და ჰლინკამ.

ასევე „მშრალი" ანგარიშით დამთავრდა დღეს გამართული მეორე მატჩიც: სსრ კავშირი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. გაიმარჯვეს საბჭოთა ჰოკეისტებმა — 5:0 (2:0, 0:0, 3:0).

ანგარიში მიხაილოვმა გახსნა. პირველი პერიოდის მიწურულს საბჭოთა ნაკრების დებიუტანტმა, მცველმა კუზნეცოვმა მეორე შაიბა გაიტანა. დასკვნით პერიოდში კი გდრ-ის ნაკრების კარი აიღეს მალცევმა, იაკუშევმა და შადრინმა.

## ჩვენი ჩემპიონები

### ეს მართლაც საამაყოა!

საქართველოს ბევრ კუთხეში შეხვდებით ზესტაფონის რაიონში აღზრდილ ფალავნებს! ერთ-ერთი მათგანია ვალერი ბირბიჩაძე, რომელიც მწვრთნელ არსენ წიქორიძის ხელმძღვანელობით ეუფლებოდა სამბოს საიდუმლოებას. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ბირბიჩაძემ სწავლა განაგრძო ყაზახეთის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებაზე.

სწავლის პარალელურად იგი წარმატებით ვარჯიშობდა. 1969-71 წლებში ყაზახეთის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი გახდა, 1972 წელს კი ჩემპიონის წოდებაც მოიპოვა. შემდეგ ბირბიჩაძემ თავი გამოიჩინა შორეული აღმოსავლეთისა და ციმბირის უნივერსიტეტების ტურნირში. ერთი წელიც და ალმა-ათის ოლქის პირველობაში მან აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

ვალერი სპორტის ოსტატია და ახალი შეჯიბრებებისთვის ემზადება. ზესტაფონის რაიონის სპორტის მოყვარულნი ამაყობენ მისი წარმატებებით, ხოლო მწვრთნელს გულწრფელად ულოცავენ ამაგის დაფასებას.

ა. ბანუჩავა.
(ჩვენი კორ.).
ზესტაფონი.



# იქ, პეტრიაშვილის ქუჩაზე...

დარბაზში კლასიკური მუსიკის ჰანგები მოულოდნელად წყდება. მწვრთნელი ილეთს უჩვენებს თავის ნორჩ მოწაფეს და ყველაფერი თავიდან იწყება. ასე მეორდება რამდენიმეჯერ... მოხდენილი, გრაციოზული გოგონები ყოველ თავიანთ მოძრაობას უზარმაზარ სარკეში აკვირდებიან. ცოტა მოშორებით ჭაბუკები ტაიჯის დამორჩილებას ცდილობენ, ზოგიც ძელზე ვარჯიშობს.

...შორს გავარდა სახელი სპორტსკოლისა, რომელიც თბილისში, პეტრიაშვილის ქუჩაზე მდებარეობს. ამ სკოლის აღსაზრდელებს ტაშს უკრავდნენ იაპონიასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მექსიკასა და ჩეხოსლოვაკიაში, საფრანგეთსა და პოლონეთში, შვეციაში და სხვა ქვეყნებში, ამ სკოლის სახელთანაა დაკავშირებული მ. ჯუღელის, მ. ნინოშვილის, ა. ჯანუყაშვილის, რ. ბერიკაშვილის, ი. ბალიაურის, მ. ბოგუსის, შ. აზარაშვილისა და სხვათა სპორტული ბიოგრაფია.

სპორტსკოლის ხელმძღვანელს, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებულ მასწავლებელს მ. იმნაძეს ვთხოვეთ გაეცნო ის ნორჩი ტანმოვარჯიშეები, რომლებიც უმაღლესი მწვერვალებისკენ მიიწევენ, რომელთაც იმედის თვალით შევყურებთ. იგი სიამოვნებით დაგვთანხმდა.

— აი, ისინიც, საბჭოთა კავშირის ჭაბუკ ტანმოვარჯიშეთა ჩემპიონები: ვახტანგ ქევლიშვილი, ზაურ ამბოკაძე, მალხაზ თათარაძე, — გაგვაცნო მან ახალგაზრდები და შემდეგ მოვარჯიშე გოგონებისკენ წაგვიძღვა.

აქ იყვნენ სსრ კავშირის ჩემპიონი გოგონათა შორის ი. მუზაშვილი, ოსტატობის კანდიდატები ყ. ბიჭიკაშვილი, თ. ლაფერაშვილი. სპორტსმენებს გამოცდილი, თავისი საქმის მოყვარული მწვრთნელები ავარჯიშებენ. ჭაბუკთა უფროსი მწვრთნელია სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ბაბილოძე, ხოლო გოგონებისა — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნ. ბახუტაშვილი. სხვათა შორის, ბახუტაშვილი პოლონეთის დამსახურებული მწვრთნელიცაა. იგი ამ ცოტა ხნის წინათ დაბრუნდა პოლონეთიდან, სადაც ქვეყნის ბევრი ჩემპიონი აღზარდა.

სპორტულ სკოლაში ნაყოფიერად მუშაობენ ე. გაგოშიძე, თ. ქოიავა, რ. პენკოვა, ო. მიქელაძე, შ. ლებანიძე..., მათს ხელში რომ მოხვდე, ჯერ სპეციალური მისაღები გამოცდები უნდა გაიარო. ეს მწვრთნელები ხუთასამდე ბავშვს ამეცადინებენ. მათი წყალობითაა, რომ თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა ტანვარჯიშის ცენტრალური სპორტსკოლა, რომელიც გ. ეგნატაშვილის სახელს ატარებს და რომელსაც მალე დაარსების 40 წლისთავი უსრულდება, ერთ-ერთი უძლიერესია მთელ საბჭოთა ქვეყანაში. ეს კიდევ ერთხელ დამტკიცდა ამ რამდენიმე დღის წინათ ვიტებსკში, სადაც ჩატარდა საკავშირო პირველობა სპორტულ სკოლებს შორის. ჩვენმა ჭაბუკთა გუნდმა 13 კოლექტივს შორის წინ მხოლოდ კიშინიოველები გაუშვა (III ადგილზე იყვნენ მოსკოველები), თბილისის მე-18 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლემ, 17 წლის ვ. ქევლიშვილმა კი მრავალჭიდში პირველობა მოიპოვა.

...დარბაზში ვარჯიში დამთავრდა. ელნათურები ჩაქრა. სიჩუმე ჩამოვარდა. ეულად დგანან ტანვარჯიშული იარაღები. დღეს ზოგმა მოსწავლემ შეასრულა ესა თუ ის ვარჯიში, ზოგმა — ვერა, მაგრამ მთავარი ხომ მოწადინებაა. იმედი გვაქვს, ისინი მაინც მიაღწევენ მიზანს და არ შეარცხვენენ იმ კაცის ხსოვნას, რომელმაც დიდი ამაგი დასდო საქართველოში ტანვარჯიშის განვითარებას, რომლის სახელსაც სპორტსკოლა ატარებს.

ა. გურასაშვილი.

* * *

სურათზე: ტანვარჯიშის დარბაზში მეცადინეობის დროს.
მ. ზარგარიანის ფოტო.

## [illegible]

მინსკი, 5 აპრილი. [illegible] ლის 50-მეტრიან აუზში დღეს სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოცურავეთა ნაკრები გუნდების ტრადიციული, რიგით მე-13 მატჩი დაიწყო.

გდრ-ის გუნდის შემადგენლობაში არიან ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი რ. მათესი, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები და რეკორდსმენები კ. ენდერი და ა. კიუნერი.

მასპინძელი ქვეყნის ღირსებას იცავენ მსოფლიო პირველობის პრიზიორები ლ. რუსანოვა, მ. ხრიუკინი, ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი ვ. ბურე და სხვ.

შეჯიბრების პროგრამაშია 29 ნომერი.

დღეს მოასპარეზეებმა ამ საინტერესო შეჯიბრების გახსნა უკვე მაღალი შედეგებით აღნიშნეს. ლენინგრადელმა მოსწავლემ თ. შელოფასტოვამ 100 მ თავისუფალი სტილით 1 წუთსა და 0,2 წამში გაცურა. ეს 0,6 წამით სჯობს მისსავე საკავშირო რეკორდს.

თავი გამოიჩინა შელოფასტოვას თანაქალაქელმა და ასევე მოსწავლემ ა. სმირნოვმა. მან 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ქვეყნის ჭაბუკთა რეკორდი დაამყარა — 53,90 წამი.

ა. კრილოვმა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში საკავშირო რეკორდი გააუმჯობესა. მისი დროა 4.05,60.

ასპარეზობის პირველ დღეს მეოთხე საკავშირო რეკორდი დაამყარა ხარკოველმა ნ. პოპოვამ. 800 მ მან 9 წუთსა და 21,84 წამში გაცურა.

პირველი დღის შემდეგ დაწინაურდნენ სტუმრები — 65:55. მათ პროგრამის 10 სახეობიდან 7 მოიგეს.

# სპორტულ ჟურნალისტთა კონგრესზე

მალაგაში (ესპანეთი) ამას წინათ გაიმართა სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის — აიპს-ის საიუბილეო, 38-ე კონგრესი, რომელიც ასოციაციის დაარსების 50 წლისთავს მიეძღვნა. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა საბჭოთა სპორტული ჟურნალისტების დელეგაციაც გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" მთავარი რედაქტორის ნ. კისელიოვის მეთაურობით.

კონგრესმა განიხილა 1974-76 წლების უდიდესი სპორტული შეჯიბრებების ორგანიზაციისა და პრესის ფურცლებზე მათი გაშუქების საკითხები.

დიდი ინტერესი გამოიწვია აიპს-ის მიერ 1973 წლის საუკეთესო გუნდის, სპორტსმენისა და სპორტსმენი ქალის გამოსავლენად გამართულ კონკურსში გამარჯვებულთათვის პრიზების გადაცემის ცერემონიალმა, რომელიც ტელევიზიით მთელს ევროპას უჩვენეს.

კონკურსის ჟიურიში 22 ქვეყნის სპორტული ფედერაციების წარმომადგენლები შედიოდნენ. თითოეულს უნდა დაესახელებინა ექვსი საუკეთესო გუნდი და სპორტსმენი.

გუნდებს შორის პრიზი ხვდა შაიბიან ჰოკეიში სსრ კავშირის ნაკრებს. მან გაუსწრო იტალიის ფეხბურთელთა ნაკრებს, ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდს „აიაქსს" (ამსტერდამი), იუგოსლავიის კალათბურთელთა ნაკრებს და სხვ. პრიზი საბჭოთა ჰოკეისტების ნაკრების წევრმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. რაგულინმა ჩაიბარა.

სპორტსმენ ვაჟთა კონკურსში გაიმარჯვა ინგლისელმა პროფესიულმა ავტომრბოლელმა ჯ. სტიუარტმა. საუკეთესოთა შორის არიან, აგრეთვე, მძლეოსნები დ. სტოუნზი (აშშ), ბ. ჯიპჩო (კენია), პროფესიული ველომრბოლელი ე. მერქსი (ბელგია) და ჩოგბურთელი ი. კოდეში (ჩეხოსლოვაკია).

სპორტსმენ ქალთა შორის პირველი სამი პრიზი ხვდათ მოცურავე კ. ენდერს (გდრ), ტანმოვარჯიშე ლ. ტურიშჩევას (სსრ კავშირი) და მძლეოსან რ. შტეჰერს (გფრ). მეხუთე პრიზი მოიპოვა ბადროს მტყორცნელმა ფ. მელნიკმა (სსრ კავშირი).

შემდეგ კონგრესმა იმსჯელა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან თანამშრომლობის აქტუალურ საკითხებზე.

ყველა დააინტერესა ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვ. სმირნოვის გამოსვლამ. მან ილაპარაკა საბჭოთა სპორტულ მოძრაობაზე, მოსკოვზე, რომელსაც სურს უმასპინძლოს 1980 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს. სმირნოვმა ამ ზაფხულისთვის უცხოელი სპორტული ჟურნალისტები მოიწვია საბჭოთა ხალხის ცხოვრებისა და სპორტული საქმიანობის გასაცნობად. კონგრესმენებმა მადლობით მიიღეს მიწვევა.

საერთაშორისო ფედერაციების გენერალური ასამბლეის გენერალურმა მდივანმა ო. სტეიტმა საკავშირო სპორტკომიტეტს სთხოვა, ასამბლეის მორიგი კონგრესი მოსკოვში ჩაგვატარებინეთო.

კონგრესის მუშაობის დღეებში გამოვიდა აიპს-ის ჟურნალ „საერთაშორისო სპორტის" მორიგი ნომერი, სადაც ბევრი მასალა საბჭოთა სპორტს ეძღვნება.

# მოზარდთა მიღწევები

პირველივე შეჯიბრებაში, რომელიც აშშ-ს მძლეოსნებმა ღია ცის ქვეშ გამართეს, 19 წლის რ. სემკივმა ბირთვის კვრაში იუნიორთა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 21,35 მ. ეს საერთოდ მეექვსე შედეგია ამ სახეობის ისტორიაში. სემკივმა ექვსივე ცდაზე მაღალი შედეგები მოიპოვა: 20,68; 21,14; 21,28; 19,22; 20,50 და 21,35.

იალტა, 4 აპრილი. ოლიმპიური ჩემპიონის ა. ბონდარჩუკის მოწაფემ ი. სედიხმა, რომელიც კიევის ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლობს, უკრაინის მძლეოსანთა შეჯიბრებაში ურო 70,86 მეტრზე ტყორცნა, რაც იუნიორთა მსოფლიო რეკორდია.

კოლომნა, 4 აპრილი. 15 წლის ომსკელმა ო. სოლიანკინმა პროფკავშირების ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების მოციგურავეთა საკავშირო შეჯიბრებაში 3000 მეტრი 4 წუთს და 44 წამში გაირბინა, რაც ბიჭების საკავშირო მიღწევაა დაბლობის საციგურაოებისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მშდ კომპლექსის ენთუზიასტთა დაჯილდოება

სსრ კავშირის სპორტკომიტეტმა აღნიშნა ის აქტიური მუშაობა, რაც მშრომელთა შორის მასობრივი ფიზიკური კულტურის განვითარებისა და მშდ კომპლექსის დანერგვისთვის ტარდება სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს საწარმოებში, სადაც შექმნილია ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ხელშემწყობი საბჭო. კომიტეტის თავმჯდომარემ ს. პავლოვმა სამკერდე ნიშნები — „ფიზიკური კულტურისა და სპორტის წარჩინებული" — გადასცა აქტივისტებს: ხელშემწყობი საბჭოს თავმჯდომარეს, სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის მინისტრის მოადგილეს ლ. კოზლოვს, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, სამინისტროს კადრებისა და სასწავლებლების სამმართველოს უფროსის მოადგილეს ი. კაზმინს, საბჭოს წევრს, მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ა. დიმიტრევსკის, საბჭოს პასუხისმგებელ მდივანს, სამინისტროს უფროს ეკონომისტს ა. ციომენკოს.

ამავე სამკერდე ნიშნით დაჯილდოვდნენ ზაპოროჟიეს ტიტან-მაგნიუმის კომბინატის დირექტორი პ. გალკინი, გაერთიანება „ნიკელის" გენერალური დირექტორის მოადგილე გ. პოჟარსკი, კომბინატ „პეჩენგანიკელის" დირექტორის მოადგილე ი. ნიკიშინი, კოლჩუგინსკის ფერადი ლითონების დამუშავების ტექნიკუმის ფიზაღზრდის მასწავლებელი ქ. ბრაგინი.



## ყველა წარმატების საფუძველი



ფოთის ჰიდრომელიორაციის ტექნიკუმის ფიზკულტურის კოლექტივს კარგი ტრადიციები აქვს. სწორედ ქალაქის ამ მოწინავე ორგანიზაციაში „აიდგა ფეხი" სპორტულ სიარულში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა ა. შჩერბინამ. აქ რესპუბლიკის ნიჩბოსანთა ნაკრების ბევრი წევრი აღიზარდა. ახლაც ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი ჰყავთ, რომლებიც სხვადასხვა სახეობის სექციებში მეცადინეობენ.

ამას წინათ „პრავდის" პრიზზე გამართულ საქალაქო კროსში სამრეწველო ელექტრომოწყობილობის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა რ. თოდუამ 5 კილომეტრზე რბენა მოიგო, მელიორაციის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი ნ. ნოდია კი უძლიერესი აღმოჩნდა 1000 მეტრზე რბენაში.

ტექნიკუმის ფიზკულტურული კოლექტივის წარმატებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ ხშირად ტარდება მასობრივი ღონისძიებები. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისთვის მზადებას და შიდასაკოლექტივო შეჯიბრებების ჩატარებას.

**ჭ. ძიმისტარიშვილი.**

ფოთი.

* * *

**სურათებზე:** მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების მომენტები. ბირთვს კრავს მელიორაციის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი რ. ტყებუჩავა; 1000 მეტრზე კროსის მონაწილენი დისტანციაზე.

მ. ზაქარეიშვილის ფოტოები. (ჩვენი სპეც. კორ.).



## ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის

— უზბეკეთის „სპორტული არმია" 2,3 მილიონ ადამიანს ითვლის. მათს განკარგულებაშია 20 ათასამდე სპორტული ბაზა. მილიონზე მეტმა ფიზკულტურელმა მოიპოვა მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშნის ტარების უფლება, — ეს ითქვა 5 აპრილს ტაშკენტში, რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებაზე, რომელმაც სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე განიხილა რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის დღევანდელი მდგომარეობა და იმსჯელა მისი შემდგომი განვითარების ღონისძიებებზე.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკების, სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენლების გამოსვლები მიეძღვნა მასობრიობისა და ოსტატობისთვის ბრძოლაში შეძენილი გამოცდილების განზოგადებას, ფიზიკური კულტურისა და სპორტის მთავარ პრობლემებს.

კრებაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ უზბეკეთს დიდი რეზერვები აქვს ფიზკულტურისა და სპორტის აღმავლობისთვის. წამოაყენეს კონკრეტული წინადადებანი სპორტული ბაზების ქსელის შემდგომი გაფართოებისთვის, ფიზკულტურისა და სპორტის აღმზრდელობითი და გამაჯანსაღებელი როლის ამაღლებისთვის, მშდ კომპლექსის პროპაგანდისთვის, უფრო მეტი მაღალი კლასის სპორტსმენის მომზადებისთვის.

ტაშკენტი.

● **პოზნანი, 5 აპრილი.** მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატთა აქ გამართულმა საგაზაფხულო საერთაშორისო შეჯიბრებამ მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს, ომსკელ სტუდენტს გ. შუგუროვას მოუტანა წარმატება. იგი პირველი იყო არა მარტო მრავალჭიდში (29,65 ქულა), არამედ პროგრამის ყველა სახეობაშიც. სალტით ვარჯიშში შუგუროვამ 19,75 ქულა დააგროვა, ბურთით ვარჯიშში — 19,85, ლენტით ვარჯიშში — 19,75 ქულა.



## პარკის ბილიკებით

ცხინვალის ლენინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში ჩატარდა სამხრეთ ოსეთის მძლეოსნური კროსი გაზეთ „პრავდის" პრიზზე. საასპარეზოდ თავი მოიყარეს ქალაქ ცხინვალის, ჯავის, ლენინგორისა და ცხინვალის რაიონების ნაკრებმა გუნდებმა.

1000 მეტრზე რბენაში ქალიშვილებს შორის გაიმარჯვა ცხინვალელმა ზ. გერგაულოვამ. ამავე დისტანციაზე რბენაში გოგონებიდან ფინიშთან პირველი მივიდა ცხინვალის რაიონის გუნდის წევრი ზ. კოჩიევა. ქალები 1500 მეტრზე რბენაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. იმარჯვა ლ. თედეევამ (ცხინვალი).

ჭაბუკთა შორის 3000 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა თ. სანაკოევმა (ჯავა). იუნიორებში ჩემპიონი გახდა ვ. ტასოევი (ცხინვალი). 5000 მეტრზე შეჯიბრებაში, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველას აჯობა ვ. გათიკოევმა (ცხინვალი).

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ცხინვალელმა მძლეოსნებმა. II ადგილზე არიან ჯავის, III — ლენინგორის რაიონის წარმომადგენლები.

**ვ. მელქოევი.**
(ჩვენი კორ.).

ცხინვალი.

### ჭიდაობას რა უნდა!..

## ოთხივე პრიზიორი ნაკრებში ჩაირიცხა

გომელში სამ დღეს გრძელდებოდა „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს ჭაბუკ „კლასიკოსთა" პირადგუნდური პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის 150-ზე მეტი მოჭიდავე.

საქართველოს „სპარტაკის" ღირსებას მახარაძის რაიონის ნაკრები გუნდი (მწვრთნელი მ. თავართქილაძე) იცავდა. მახარაძელებმა თავდაპირველად ხელთ იგდეს ლიდერობა, მაგრამ მერე რუსეთის ფედერაციის ნაკრები დაწინაურდა. საბოლოო ჯამში ჩვენი გუნდი III ადგილზე დარჩა.

პირად ჩათვლაში თავი გამოიჩინა მძიმეწონოსანმა ო. ბოლქვაძემ — იგი ჩემპიონი გახდა. II ადგილებზე გავიდნენ მ. სიორიძე (87 კგ), თ. მუჯირი (81 კგ) და ბ. ხმელიძე (75 კგ). ოთხივე მახარაძელი სპორტსმენი შეყვანილია ცენტრალური საბჭოს ნაკრებში.

**მ. ჩიბურდანიძე,**
**სპორტის ოსტატი.**

## საზარგებლო ტრადიცია

ამას წინათ თბილისის ორჯონიკიძის სახელობის საჭიდაო დარბაზში ჩატარდა „სპარტაკის" ჭაბუკ ძიუდოისტთა ღია საქალაქო პირველობა. ამ ბოლო დროს სპორტულმა ორგანიზაციებმა რატომღაც მიივიწყეს ღია პირველობები. ამდენად, ეს ტურნირი მისასალმებელი ღონისძიება იყო. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ „ლოკომოტივის", „სპარტაკის", „დინამოს", „განთიადის", „ბურევესტნიკისა" და ასკ-ს წარმომადგენლები.

ტურნირს ესწრებოდნენ სპეციალისტები, რომლებიც გულმოდგინედ ადევნებდნენ თვალს ნორჩ მოჭიდავეთა შერკინებებს. კარგი მომზადება გამოავლინეს და თავიანთ წონით კატეგორიებში I ადგილები დაისაკუთრეს ა. ზურაბიანმა, კ. ჯიქურაძემ (ორივე — „სპარტაკი"), ტ. პეტრიაშვილმა, თ. ხიზამბარელმა (ორივე — „განთიადი"), ჭ. ლოლაშვილმა („დინამო"). საინტერესოა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი მეორედ გახდა ასეთი შეჯიბრების ჩემპიონი.

ქებას იმსახურებენ მწვრთნელები, რომლებმაც კარგად მომზადებული სპორტსმენები გამოიყვანეს: ესენი არიან: ვ. კბილაშვილი, ვ. ხაჩიძე, ო. გულისაშვილი, ხ. წიკლაური...

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შეჯიბრების ორგანიზატორებს დახმარების ხელი გაუწოდეს თბილისის ფიზკულტურის კომიტეტმა და ჭიდაობის რესპუბლიკურმა სპეციალიზებულმა სკოლამ. ვიმედოვნებთ, რომ ეს სასარგებლო ტრადიცია მტკიცედ მოიკიდებს ფეხს.

**ო. ჩხაიძე,**
**სპორტის ოსტატი.**

### თბილისი

დამთავრდა ქალაქის აღმასკომის მთავარი საარქიტექტურო-საგეგმო სამმართველოს საპროექტო კონტორის მოჭადრაკეთა პირველობა. ტურნირში, რომელშიც 14 კაცი მონაწილეობდა, I ადგილი დაიკავა საპროექტო განყოფილების უფროსმა, კალათბურთში საკავშირო კატეგორიის მსაჯმა მ. ბაგრატიონმა — 11 ქულა. II-III ადგილები გაიყვეს საძიებო განყოფილების ტოპოგრაფმა ო. ვაჭრიშვილმა და საარქიტექტურო-სამშენებლო განყოფილების არქიტექტორმა ტ. ნინიკაშვილმა — 10-10. II ადგილი ვაჭრიშვილს მიეკუთვნა, რადგან მან ადგილის მოზიარეს პირადი შეხვედრა მოუგო.

**გ. ამირხანოვი,**
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მივბაძოთ თაოსნებს!

საზეიმო განწყობილება სუფევდა გუშინწინ თბილისის ფალავანთა კლუბში. აქ თავი მოეყარათ ფიზიკური კულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის სპორტკომბინატის (დირექტორი ი. მეტრეველი) თანამშრომლებს — საცურაო აუზის, ფალავანთა კლუბის, ფარიკაობისა და ძალოსნობის კომპლექსური ბაზის მუშაკებს. სამი თვის წინათ ამ ბაზების ხელმძღვანელობამ კომბინატში შრომის დისციპლინის განმტკიცების, წვრთნის პირობების, სამედიცინო მომსახურებისა და სხვა მაჩვენებლების გაუმჯობესებისთვის გადაწყვიტა სოციალისტური შეჯიბრება მოეწყო.

და აი, ახლა ფალავანთა კლუბში ეს თავყრილობა იმისთვის მოეწყო, რომ გამარჯვება მიელოცათ მასპინძლებისთვის, რომელთაც საუკეთესო მაჩვენებლები აღმოაჩნდათ. ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის სპორტის გამოყენებითი სახეობების განყოფილების უფროსმა დ. კაპცოვმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის გარდამავალი დროშა და სამახსოვრო დიპლომი გადასცა ფალავანთა კლუბის უფროსს გ. ჩიტიაშვილს (იხ. სურათი). გარდამავალი ვიმპელითა და სამახსოვრო დიპლომით დაჯილდოვდნენ ის მუშაკები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი შეჯიბრებაში.

კრებაზე ითქვა, თუ რა დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია სოციალისტურ შეჯიბრებას. გამარჯვებისთვის თავდაუზოგავად იბრძოდა სამივე კოლექტივი, რამაც, ცხადია, აამაღლა თითოეული თანამშრომლის პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისთვის.

კარგი იქნება, თუ ამ კოლექტივების შესანიშნავ თაოსნობას სხვებიც მიჰბაძავენ.

**ა. ჭყოიძელი.**

ა. გურასაშვილის ფოტო.







# თავიდან ავიცილოთ შეცდომები

**ჩვენს რესპუბლიკაში სპორტული ლატარია სულ უფრო პოპულარული ხდება. „სპორტლოტოს" და „სპორტლოტო-2"-ის ყოველ ტირაჟში უამრავი ხალხი მონაწილეობს. უმრავლესობა ზუსტად იცავს თამაშის წესებს, მაგრამ ბევრი ჯერ კიდევ უშვებს შეცდომებს, რის გამოც ლატარიას ეთიშება. ჩვენ ერთხელ უკვე დავბეჭდეთ წერილი, რომელშიც მკითხველებს დაწვრილებით ავუხსენით „სპორტლოტოს" არსი, მაგრამ, ვინაიდან შეცდომები მაინც ხშირია, საჭიროდ მივიჩნიეთ კიდევ ერთხელ შევახსენოთ ლატარიის მონაწილეებს თამაშის წესები.**

„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალურ სამმართველოში ყოველი გათამაშებული ტირაჟის შემდგომ დღეებში მოდიან იღბლიანები, რომლებსაც სპორტის ამა თუ იმ სახეობისა და მათი შესაბამისი ციფრების ზუსტად გამოცნობისთვის დიდი თანხა აქვთ მოგებული. მაგრამ ბევრი დაუკვირვებლობისა და უყურადღებობის გამო, თუ შეიძლება ითქვას, თამაშგარე მდგომარეობაში რჩება. ისინი ზუსტად არ იცავენ თამაშის ყველა წესს, რაც გარკვევით წერია „სპორტლოტოს" ბილეთების უკანა მხარეზე, შეცდომებს უშვებენ A, Б და B ნაწილების შევსებისას, რის გამოც თვითონაც კარგავენ მოგების შესაძლებლობას და დამუშავების განყოფილების მუშაობასაც ართულებენ.

რაში მდგომარეობს შეცდომები?

ზოგჯერ ბილეთის Б და B ნაწილებზე ექვსის მაგიერ გადაშლილია შვიდი ან მეტი, ზოგჯერ კი — ნაკლები ციფრი. რიგი ბარათებისა შესწორებულია, ნომრები ამოშლილია ან ფანქრითაა გადახაზული. არის შემთხვევა, როცა ბილეთის სხვადასხვა ნაწილში გადაშლილი და ჩაწერილია სხვადასხვა ციფრი. ზოგი მოთამაშე „სპორტლოტოს" სპეციალურ ყუთებში უშვებს ბილეთის A ნაწილს, ხოლო Б და B ნაწილებს თვითონ იტოვებს. უყურადღებოდ შევსებული ბილეთები, ინსტრუქციის თანახმად, ტირაჟში მონაწილეობას ვერ ღებულობს და გაუქმებულად ითვლება.

მაგალითად, „სპორტლოტოს" წლევანდელ მე-8 ტირაჟში საქართველოს ზონალური სამმართველოს დამუშავების განყოფილებაში გაუქმდა 2122 ბილეთი. აქედან 1137 ბილეთზე არ იყო შევსებული მთლიანად Б და B ნაწილები, 157 ბილეთზე ციფრები ამოშლილი და შესწორებული იყო, 182 ბილეთზე ექვსზე მეტი ან ნაკლები ციფრი გადაეშალათ, 323 ბილეთი გვიან შემოვიდა და ტირაჟს გამოეთიშა, ხოლო 74 ფანქრით შევსებული აღმოჩნდა.

„სპორტლოტოს" მოყვარულებს შევახსენებთ, რომ ბილეთის Б და B ნაწილებზე მელნის ან ბურთულიანი კალმით ზუსტად უნდა გადაიხაზოს ექვსი ციფრი და შესაბამისი ექვსი სახეობა ასეთი ნიშნით: X. ექვსივე ციფრი უნდა ჩაიწეროს A ნაწილზე, ექვს ცარიელ კვადრატში. ამის შემდეგ ბილეთს მოაჭრით (გადასაჭრელი ხაზი მინიშნებულია) A ნაწილს, ხოლო Б და B ნაწილებს გაუცალკევებლად უშვებთ „სპორტლოტოს" სპეციალურ ყუთებში, რომლებიც დადგმულია კავშირგაბმულობის დაწესებულებებში, „სოიუზპეჩატის" ჯიხურებთან, შემნახველ სალაროებში, „სპორტლოტოს" ბილეთების საზოგადოებრივ გამავრცელებლებთან.

არ დაგავიწყდეთ, რომ თბილისში შევსებული ბილეთების ყუთებში ჩაშვების ბოლო ვადაა 8, 18, 28 რიცხვები, 18 საათამდე. პლეხანოვის პროსპექტზე, კინოთეატრ „ამირანთან" და ლენინის სახელობის მოედანზე მეტროს სადგურთან მდებარე „სოიუზპეჩატის" ჯიხურებთან მორიგე ყუთებში ბილეთების ჩაშვება შეიძლება 9, 19, 29 რიცხვების ჩათვლით, 14 საათამდე.

საქართველოს დანარჩენ ქალაქებსა და რაიონებში, სადაც „სპორტლოტოს" ბილეთები იყიდება, გათამაშებაში Б და B ნაწილების ყუთებში ჩაშვების ბოლო ვადაა თვის ის რიცხვები, რომლებიც ყუთებზეა აღნიშნული. თუ ზუსტად ამოიცნობთ ტირაჟში გათამაშებულ სამ ან ოთხ ციფრს, ბარათის A ნაწილი უნდა წარადგინოთ იმ ქალაქებისა და რაიონების ცენტრალურ ან პირველი თანრიგის შემნახველ სალაროებში, სადაც იყიდება „სპორტლოტოს" ბილეთები. 5 ან 6 ციფრის გამოცნობის შემთხვევაში ბილეთის A ნაწილს პირადად წარადგენთ „სპორტლოტოს" საქართველოს ზონალურ სამმართველოში ან გზავნით ფოსტით, ფასიანი წერილით (აღნიშნული უნდა იყოს, შიგ რა დევს) შემდეგი მისამართით: თბილისი 54, ელიავას ქ. № 26, „სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველო. ბოლომდე შეინახეთ ბილეთის A ნაწილი. იგი თქვენი საბუთია მოგებული თანხის მისაღებად. მოგებული თანხა გაიცემა ტირაჟიდან ათი დღის შემდეგ ოცდაათი დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

არ აჩქარდეთ, მოთმინებითა და ყველა წესის დაცვით ითამაშეთ. ამით თავიდან აიცდენთ შეცდომებს.

**ნ. ლონდაძე,**
„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორი.

## რაიონებში [illegible]

### ✦ გალი

მზიურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში გაიმართა მოშავეთა პირველობა. ჩემპიონის სახელს ერთმანეთს 15 კაცი ეცილებოდა. ყველას აჯობა მუშა ქ. ჩახმახჩოვმა — 12,5 ქულა. II ადგილი წილად ხვდა მოსწავლე ზ. სოფიას — 12.

• • •

რაიონის მოშავეთა პირადგუნდურ პირველობაში 10 გუნდი მონაწილეობდა. ყველას აჯობა მზიურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის გუნდმა (ქ. ჩახმახჩოვი, ზ. სოფია, ნონა უბილავა). II ადგილზე გავიდნენ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის, III — აჩიგვარის მეურნეობა-ტექნიკუმის წარმომადგენლები. იქვე გაიმართა რაიონის მოშავე ვაჟთა და ქალთა პირველობები. ვაჟებში ჩემპიონი გახდა ზ. სოფია, ქალებში — 12 წლის ნ. უბილავა.

**გ. ჯაჯეია,**
შეჯიბრების მსაჯი.





# პენალტი რას მიქვია!

ოდესა. ცენტრალური სტადიონი. 6 აპრილი.

„ჩერნომორეცი" (ოდესა) — „დინამო" (თბილისი) 0:2 (0:1).

„ჩერნომორეცი": ნეფიოდოვი, ნეჩაევი, ლეშჩუკი, გრიგორიევი, ზუბკოვი (როდიონოვი), ფეიდმანი, ბუტენკო, ტომაშევსკი (დოროშენკო), ძიუბა, მაკაროვი, საპოუნიკოვი.

„დინამო": გაგოშიძე, შოძუაშვილი, ჰელიძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, გავაშელი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, მჭედლიშვილი, ყიფიანი.

მსაჯი ნ. კრილოვი (კუიბიშევი).

„ჩერნომორეცის" პირველმა მეოთხედფინალურმა მატჩმა სსრ კავშირის თასზე თბილისის დინამოელებთან დიდი ინტერესი გამოიწვია შავიზღვისპირა ქალაქში. გასაგებია ოდესელ ფეხბურთელთა სწრაფვა წარმატებით აღნიშნონ თავიანთი დაბრუნება უმაღლეს ლიგაში.

მატჩი ძალზე საინტერესო გამოდგა. ორივე გუნდი თამაშობდა გაშლილად, შეტევებით და უკვე პირველი 15-20 წუთის განმავლობაში როგორც ერთ, ისე მეორე კართან არაერთი სახიფათო მომენტი შეიქმნა. ანგარიშის გახსნა შეეძლოთ ჯერ მაჩაიძეს, შემდეგ ძიუბას, ბუტენკოს, მჭედლიშვილს. ძნელი ბურთების აღება მოუხდათ მეკარეებს გაგოშიძეს და ნეფიოდოვს.

დინამოელებმა ოთხი ნახევარმცველით და ორი თავდამსხმელით ითამაშეს, მაგრამ თავდასხმის ხაზში იერიშის დასასრულს სისტემატურად გადიოდნენ მაჩაიძე, ასათიანი, მჭედლიშვილი. განსაკუთრებით აქტიური იყო მჭედლიშვილი, რომელიც შესაფერის მომენტებში ზუსტად ურტყამდა შორიდან. ერთ-ერთმა ასეთმა შორეულმა დარტყმამ შეუცდომლად მიაღწია მიზანს 42-ე წუთზე — 1:0.

განახლდა თამაში შესვენების შემდეგ და მჭედლიშვილმა კვლავ გამოიჩინა თავი: 47-ე წუთზე მან მიიღო გუცაევის გადაცემა, სწრაფად განთავისუფლდა და მეორედ აიღო ნეფიოდოვის კარი.

მიუხედავად ამ ანგარიშისა, მასპინძლები ბოლომდე ენერგიულად იბრძოდნენ მატჩის სახსნელად. 82-ე წუთზე მათ საპასუხო ბურთის გატანის შესაძლებლობაც მიეცათ, როცა მსაჯმა 11-მეტრიანი დარტყმა დანიშნა „დინამოს" კარში. მაგრამ აქ შესანიშნავად ითამაშა მეკარე გაგოშიძემ. მან ჯერ მოიგერია ნეჩაევის პენალტი, შემდეგ კი საიმედოდ აიღო ბურთი ხელთ.

თბილისელებს კიდევ ჰქონდათ ხელსაყრელი შესაძლებლობანი (ყიფიანი, ასათიანი, გუცაევი), თუმცა გამარჯვება მეტოქის მინდორზე 2 ბურთის სხვაობით სავსებით საკმარისი იყო. დინამოელთა ეს გამარჯვება მეოთხედფინალში გასვლის საიმედო გარანტიაა.

* * *

გუშინ მოსკოვის დინამოელები ტაშკენტში მასპინძლობდნენ ლენინგრადის „ზენიტს" და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1. დონეცკის „შახტიორმა" დაამარცხა როსტოვის არმიელთა გუნდი — 2:0. მოსკოვის გუნდების — „სპარტაკისა" და „ტორპედოს" თამაში ფრედ დამთავრდა — 0:0. ერევანში „არარატმა" მოუგო ბაქოს „ნეფთჩის" — 2:0.







უსიტყვოდ.

ნ. ქელეხსაშვილის ნახატი.



**საბჭოთა კავშირის უძლიერესმა მძლეოსნებმა დაიწყეს მზადება მოახლოებული საგაზაფხულო სეზონისთვის და ძალიან მაღალი შედეგებიც მოიპოვეს. განსაკუთრებით კარგად გამოდის ევროპის ჩემპიონი, ვილნიუსელი სიმაღლეზე მხტომელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი კ. შაპკა. მან უკვე ორჯერ გადალახა 223 სმ, რაც სეზონის საუკეთესო შედეგია ევროპის დარბაზებისთვის.**

სურათზე: კ. შაპკა 223 სმ-ზე [illegible] თამასის გადალახვის დროს.

[illegible]ქტიონოვის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ინისი“ „რეალმა“ შეცვალა

წინა ნომერში ვიუწყებოდით კალათბურთში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალური მატჩის შესახებ. გათამაშდა კიდევ ერთი ჯილდო — ჩემპიონთა თასი. ფინალური მატჩი ორ პოპულარულ კლუბს — მადრიდის „რეალსა“ და ვარესეს „ინისს“ შორის ჩატარდა საფრანგეთის ქალაქ ნანტში. ბრძოლა იყო უაღრესად მძაფრი და შეუპოვარი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელმა „ინისმა“ (იტალია) ამჯერად ვერ შეინარჩუნა ჯილდო. გამარჯვება წილად ხვდა „რეალს“ — 84:82 (34.39). ამიერიდან იგი თასის ხუთგზის მფლობელია.

მიუხედავად იმისა, რომ „რეალი“ ორი ათეული წელია ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბად ითვლება, ბოლო ხანებში იგი აშკარად წარუმატებლად თამაშობდა ამ ტურნირში. ესპანელებმა თასი უკანასკნელად 1968 წელს მოიპოვეს, მერე კი ნახევარფინალს არ გასცილებიან. ამიტომაც ამ წარმატებამ ევროპის საკალათბურთო წრეებში დიდი რეზონანსი გამოიწვია.

ესპანელებმა დამაკმაყოფილებლად ჩაატარეს მეოთხედფინალური ტურნირი, ხოლო ნახევარფინალსა და განსაკუთრებით ფინალში თავიანთი ნამდვილი ძალა გამოავლინეს.

ფინალურ მატჩში ბრწყინვალედ ითამაშეს ამერიკული წარმოშობის ესპანელებმა უ. ბრაბენდერმა და კ. ლაიკმა (მათ დიდი ხანია ესპანეთის ქვეშევრდომობა მიიღეს). კარგი შთაბეჭდილება დატოვეს რამოსმა და რულანმა, მაგრამ ფინალური მატჩის ნამდვილ გმირად მიმომხილველები მაინც ამერიკელ უ. შჩერბიაკს (სიმაღლე 198 სმ) მიიჩნევენ.

„ინისმა“ კარგად ჩაატარა ფინალური მატჩის პირველი ნახევარი, რომელიც მოიგო 5 ქულის სხვაობით. მეორე ტაიმში კი შესამჩნევად დაიღალა გუნდის ლიდერი, მექსიკელი რაგა. ამით ისარგებლეს ესპანელებმა, გარდატეხა შეიტანეს თამაშში და გაიმარჯვეს.

ფინალურ მატჩამდე ორივე მეტოქე დაახლოებით ერთნაირი მაჩვენებლებით მივიდა. მეოთხედფინალურ ტურნირში „რეალმა“ მოიგო 5 შეხვედრა და წააგო მხოლოდ ერთი, იუგოსლავიის „რადნიჩკისთან“ — 87:95. მას ჰქონდა ბურთების კარგი ბალანსიც — 591—481.

„ინისმა“ მეოთხედფინალური ტურნირის ექვსივე მატჩი მოიგო ბურთების ბალანსით 548—453, მაგრამ ნახევარფინალში ერთხელ დამარცხდა იმავე „რადნიჩკისთან“ — 70:83.

სამაგიეროდ, ბრწყინვალედ ჩაატარა ორივე ნახევარფინალური მატჩი „რეალმა“ — დაამარცხა საფრანგეთის ჩემპიონი ას „ბერკი“ საერთო ანგარიშით 194:148.

როგორც ხედავთ, ფინალისტები ღირსეული მეტოქეები იყვნენ და მთავარი ბრძოლაც ერთობ საინტერესო გამოდგა.



# 54 ქულა ერთ მატჩში

**რიგა, 5 აპრილი.** დღეს აქ გაიმართა კალათბურთელ ქალთა შორის ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი ფინალური მატჩი ადგილობრივ ტტტ-სა და საფრანგეთის „კლერმონ-ფერანს“ შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 96:67 (47:34).

რიგელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა უ. სემიონოვამ თავის კოლექტივს 54 ქულა შესძინა.



## სათხილამურო სპორტი

**კუოპიო.** ფინეთის ამ ქალაქში გაიმართა მოთხილამურეთა ბოლო საერთაშორისო შეჯიბრება. 15 კილომეტრზე რბოლა მასპინძელმა კეივისტომ მოიგო — 48.07. ტრამპლინიდან ხტომაშიც ფინელმა კაიუჰკიომ იმარჯვა — 237,2 ქულა (ნახტომები — 93,5 და 93 მ). ორჭიდში უძლიერესი იყო ჰეტიხი (გფრ) — 406,3 ქულა. ასპარეზობაში გდრ-ის მოთხილამურეებიც მონაწილეობდნენ.

**სოფია.** დამთავრდა სამთომოთხილამურეთა მორიგი საერთაშორისო ტურნირი „ალეკოს პრიზზე“. ვაჟთა შორის სპეციალური სლალომი მოიგო ზემანმა (ჩეხოსლოვაკია) — 1.43.8. ქალთა შორის იმარჯვა მასპინძელმა შვაბოვამ. — 1.26,12. გიგანტურ სლალომში ყველას აჯობეს შვედმა ფელდერმა (2.20,96) და პიშმანოვამ (ჩეხოსლოვაკია) — 1.16,68.

## ცურვა

**ლოს ანჯელესი.** დამთავრდა აშშ-ს მოცურავეთა შესარჩევი შეჯიბრება, რომლის მიზანი იყო „კოკა-კოლას“ ტურნირისთვის (მალე გაიმართება ინგლისში) გუნდის დაკომპლექტება. ასპარეზობა რამდენიმე მაღალი შედეგით აღინიშნა: ედგარმა 100 მეტრი ბატერფლაით 55,9 წამში დაფარა, ალს-ფელედერმა კი ამავე სტილით 200 მეტრზე ცურვაში 2.03,4 აჩვენა. ორივე შედეგი წლეულს საუკეთესოა მსოფლიოში. ქალთა შეჯიბრებაში ბერკმენმა 100 მეტრი თავისუფალი სტილით 58,9 წამში გაცურა.

## ავტოსპორტი

**ბერლინი.** დამთავრდა სოციალისტური ქვეყნების ავტომობილისტთა საერთაშორისო შეჯიბრება „პნოიმანტის“ პირველი წრე. ლიდერობენ გდრ-ის სპორტსმენები ნედერგ ლი და მალზოხი, რომლებიც „ვარტბურგ 353“-ით ასპარეზობენ. გუნდურ ჩათვლაში წინ არიან გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის კოლექტივები.

# მძლეოსნობის ამბები

## გამარჯვებული დასაჯეს

მსოფლიო რეკორდსმენმა, ბელგიელმა ე. პუტემანსმა ამას წინათ პარიზში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში დარბაზებისთვის ორი მსოფლიო მიღწევა დაამყარა, შემდეგ კი იტალიას მიაშურა, სადაც საერთაშორისო „ხუთი წისქვილის“ კროსში იასპარეზა.

პუტემანსმა კვლავ გამოიჩინა თავი — 5 მილი ყველაზე სწრაფად გაირბინა — 31.08,6. მაგრამ ფინიშის შემდეგ მძლეოსანი გალიმებული არავის უნახავს. რა მოხდა? გამოირკვა, რომ პუტემანსი საფრანგეთიდან იტალიაში ეროვნული მძლეოსნობის ფედერაციის უნებართვოდ გამგზავრებულა. ბელგიის მძლეოსნობის ფედერაციამ უდისციპლინო სპორტსმენი დაუსჯელი არ დატოვა — 31 ივლისამდე დისკვალიფიკაცია მისცა. ფედერაციის ეს გადაწყვეტილება პუტემანსმა ფინიშზე შეიტყო.

## ახალი მსხვერპლი

პროფესიულმა სპორტმა „ჩაყლაპა“ მსოფლიოს კიდევ ერთი შესანიშნავი სპრინტერი, 60 იარდზე რბენაში აშშ-ს ჩემპიონი ჰ. ვაშინგტონი, რომელმაც ოქროს ცდუნებას ვერ გაუძლო და ოკლენდის ბეისბოლისტთა გუნდთან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ამავე დროს ვაშინგტონი ო'ჰარის პროფესიული მძლეოსნური დასის წარმოდგენებშიც გამოვა.

## „სირინოზი“ შინისკენ მიიჩქარის

**ტოკიო.** იაპონელ კ. ხორიეს, რომელიც პატარა ნავით „სირინოზი-3“-ით მარტოდმარტო ცურავს დედამიწის ირგვლივ, დაახლოებით 5000 კმ დარჩა გასავლელი. მან შარშან 1 აგვისტოს აიღო სტარტი ოსაკაში, დღემდე გადალახა ინდოეთისა და ატლანტის ოკეანეები, ჩამოიტოვა ჰორნის კონცხი. ახლა ხორიე წყნარ ოკეანეშია, მიდუეის ატოლის რაიონში.

მამაცმა მოგზაურმა განაცხადა, განზრახული მაქვს მოგზაურობა ვადამდე ათი დღით ადრე დავამთავრო. (საკდესი).

## მწვრთნელის დაუკითხავად

„ჩელსის“ თავდამსხმელები ოსკუდი და ჰატჩინსონი კლუბის ხელმძღვანელობამ დიდი თანხით დააჯარიმა. საქმე ისაა, რომ ერთ-ერთ ტურამდე დარჩენილი რამდენიმე დღე ამ ფეხბურთელებმა „თავისებურად“ გამოიყენეს და მწვრთნელის დაუკითხავად ესპანეთში გაემგზავრნენ, სადაც თურმე მინი-ფეხბურთის ტურნირში სათამაშოდ იყვნენ მიწვეული. და ეს მაშინ, როცა „ჩელსის“ მდგომარეობა ახლა ერთობ არასახარბიელოა.

● ●




## კოვაჩის გადაწყვეტილება

საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა, რუმინელმა სპეციალისტმა შ. კოვაჩმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: ყოველი მატჩის წინ საფრანგეთის ნაკრები რომელიმე ძლიერ კლუბს ხვდება და მწვრთნელს გამოჰყავს ის შემადგენლობა, რომელმაც რამდენიმე დღის შემდეგ სხვა ქვეყნის ნაკრებთან უნდა ითამაშოს.

კოვაჩის ამ ახალ მეთოდს ინტერესით შეხვდნენ საფეხბურთო სამყაროში. ეს იმით აიხსნება, რომ კოვაჩს აქამდე დიდი წარმატება ჰქონდა ყველა გუნდში, სადაც კი მუშაობდა.

● ●

## ოთხი მწვრთნელი ერთ სეზონში

მარსელის „ოლიმპიკს“ ცოტა ხნის წინათ ბადალი არ ჰყავდა საფრანგეთში, მისი სნაიპერი სკობლარი კი ევროპის რეკორდებს ამყარებდა. ახლა გუნდს დაბალ ლიგაში გადასვლა ემუქრება. ამის ერთ-ერთ მიზეზად მიმომხილველებს მწვრთნელთა ხშირი ცვლა მიაჩნიათ. საყმარისია აღინიშნოს, რომ 1973-1974 წლების სეზონში „ოლიმპიკს“ გამოუცვალეს... ოთხი მწვრთნელი, 13 აგვისტომდე მას წვრთნიდა ზატელია, 2 დეკემბრამდე — ბონელი, 19 თებერვლამდე — რიერა, ახლა — ზვუნკა.

საყურადღებოა, რომ ყოველი ახალი მწვრთნელი მხოლოდ აუარესებდა გუნდის მდგომარეობას.

# ინგლისური ფეხბურთის ღიმილი



ტელევიზიის დიქტორი: „ვაცხადებთ ფეხბურთში ქვეყნის ჩემპიონატის მორიგი ტურის შედეგებს: „ლიდსი“ — 16 გაძევება, „დერბი“ — 4 გაძევება, „სელტიკი“ — 8 გაძევება“...

საკდესის ფოტოქრონიკა.



მეკარე ეუბნება მწვრთნელს: „თქვენ სულ იმას ჩამჩიჩინებთ, ძალიან ბევრ ბურთს უშვებო. ჰოდა, მეც მოვიფიქრე, როგორ დავიცვა გოლებისგან თავი“.

საკდესის ფოტოქრონიკა.

## ეტიუდი

დ. გურგენიძე (თბილისი)



თეთრები ყაიმს აღწევენ.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტულ ცაზე

**ფეხბურთი.** საქართველოს პირველობა. 7 აპრილი. „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი). დასაწყისი 17 ს. ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობა. 7 აპრილი. „ისნის“ სტადიონი, „განთიადი“ (თბილისი) — ახალგ. საფეხბ. სკოლა (თბილისი). 12 ს. მაუდ-კამვოლის კომბინატის სტადიონი. განათლების განყოფილება (თბილისი) — „დილა“ (გორი). 16 ს. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონი. მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) — „მეტალურგი“ (რუსთავი). 15 ს.

**თანამედროვე ხუთჭიდი.** საქართველოს თასის გათამაშება. 7 აპრილი. მძლეოსნური კროსი. (გამარჯვების პარკი). დასაწყისი 11 ს.

**კარტინგი.** 7 აპრილი. თბილისის ზღვის მიდამოები (ხუდადოვის ქუჩის დასასრული). თბილისის თასის გათამაშება. მონაწილეობენ საქართველოს, ბაქოს, ერევნის, დონის როსტოვის, ნალჩიკის, გროზნოსა და კრასნოდარის მრბოლელები. დასაწყისი 12 ს.

**ცურვა და წყალბურთი.** საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტნაგებობათა კომბინატის აუზი. ირანისა და საქართველოს გუნდების საერთაშორისო შეჯიბრება. დასაწყისი: 7 აპრილს — 16 ს.; 8 და 9 აპრილს — 18 ს.




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილება — 93-97-55. სპორტული განყოფილება — 99-56-47 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, კადრების განყოფილება — 93-97-51 წერილების განყოფილება — 93-97-54, მკითხველთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58. გამომშვები — 93-93-81 კორექტორები — 93-97-49.